

ნათია კენტჩიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ელ-ფოსტა: natia.kentchiashvili@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-8230-7633>

აბსტრაქტი. წინამდებარე კვლევის საგანია ზეპირი და წერიტი მეტყველების ურთიერთმიმართება მჭევრმეტყველების კონტექსტში. ნაშრომი მიზნად ისახავს მეტყველების ამ ორი ფორმის ძირეული თავისებურებების, მათი ლინგვისტური და კომუნიკაციური ფუნქციების გაანალიზებასა და მჭევრმეტყველებაში მათი თანაარსებობის სპეციფიკის გამოკვეთას.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე საჯარო კომუნიკაციის ტრანსფორმაციით, სადაც ზეპირი და წერიტი ფორმები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ზეპირ და წერიტი მეტყველებას შორის განსხვავებები შესწავლილია, აღნიშნული ნაშრომი მჭევრმეტყველების ფონზე განიხილავს მათ თანაარსებობას, როგორც კომპლექსურ და ჰიბრიდულ ენობრივ-კომუნიკაციურ აქტს, რაც აქამდე, ძირითადად, ფრაგმენტულად იყო გაანალიზებული ქართულ ლინგვისტიკაში. კვლევის სიახლე გამოიხატება იმაში, რომ ნაშრომში შესწავლილია არა მხოლოდ ზეპირი და წერიტი მეტყველების საზღვრები, არამედ წარმოსახავს მათ დინამიკურ ურთიერთდამოკიდებულებას კონკრეტულ საზოგადოებრივ-ისტორიულ კონტექსტებში.

კვლევა ეფუძნება დესკრიფციულ-ანალიტიკურ და შედარებით მეთოდებს და აერთიანებს ფუნქციური სტილისტიკისა და რიტორიკის თეორიულ პრინციპებს. პირველ ეტაპზე, განხილულია წერიტი და ზეპირი მეტყველების ცნებები და მათი ლინგვისტური და კომუნიკაციური თავისებურებები, განსაკუთრებული ყურადღებით მჭევრმეტყველების ჰიბრიდული ბუნების მიმართ. მეორე ეტაპზე, შესრულებულია ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების სტილისტიკური და ტექსტური ანალიზი სხვადასხვა სფეროდან, სადაც შეფასებულია ტექსტის წერილობითი მომზადებისა და ზეპირი რეალიზაციის თავისებურებები. შედარებითი ანალიზის შედეგად, გამოვლენილია ზეპირი და წერიტი მეტყველების ურთიერთდაპირისპირებისა და ურთიერთშევესების მექანიზმები.

ნაშრომის ძირითადი მიზანია მჭევრმეტყველებაში წერიტი და ზეპირი მეტყველების ფუნქციური და სტრუქტურული ურთიერთმიმართების დადგენა. ამ მიზნის მისაღწევად: განსაზღვრულია ზეპირი და წერიტი მეტყველების ლინგვისტური თავისებურებები; გაანალიზებულია ამ ორ ფორმას შორის განსხვავებები; აღწერილია მჭევრმეტყველების შუალედური, გარდამავალი ბუნება მეტყველების ზეპირსა და წერიტ ფორმებს შორის; ნაჩვენებია, რომ მჭევრმეტყველება არის ორივე ფორმის ორგანული სინთეზი, რომელიც ხშირად ეფუძნება წინასწარ დაწერილ ტექსტს, მაგრამ საბოლოოდ რეალიზდება ზეპირი წარდგენის გზით; გამოკვლეულია, თუ როგორ აისახება ეს შერწყმა მჭევრმეტყველების ეფექტიანობასა და სტრუქტურულ ფორმირებაზე.

კვლევა აჩვენებს, რომ მჭევრმეტყველება ვერ განიხილება მხოლოდ ზეპირი ან მხოლოდ წერიტი ფორმის ფარგლებში – ის წარმოადგენს ჰიბრიდულ აქტივობას, სადაც წერიტი ფორმას ეკუთვნის ტექსტის წინასწარ მომზადებული სტრუქტურა და შინაარსი, ხოლო ზეპირს – ემოციური ჩართულობა, აუდიტორიის მართვის შესაძლებლობა და იმპროვიზაციის პოტენციალი. ეს კომპლექსურობა მჭევრმეტყველებას ანიჭებს უნიკალურ როლს როგორც სიტყვიერ შემოქმედებაში, ისე საზოგადოებრივ კომუნიკაციაში.

საკვანძო სიტყვები: მჭევრმეტყველება; ზეპირი მეტყველება; წერიტი მეტყველება; ფუნქციური სტილისტიკა.

* * *

შესავალი. წინამდებარე კვლევაში შევისწავლით ისეთ საკითხებს, როგორცაა წერიტი და ზეპირი მეტყველება და მათი მიმართება მჭევრმეტყველებასთან. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი დამახასიათებელი ნიშნები, რომლითაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება. მჭევრმეტყველება ასევე თავისი სპეციფიკით გამოირჩევა: ის ცალსახად არც მხოლოდ წერილობითი და არც მხოლოდ ზეპირი მეტყველების ტრადიცია არაა. იმის გასარკვევად, თუ როგორი მიმართებაა აღნიშნულ საკითხებს შორის, განვიხილავთ ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან: გრ. კიკნაძე, ნ. კანდელაკი და სხვ. თავდაპირველად შევეხებით, ზოგადად, ზეპირი და წერიტი მეტყველების ცნებებს, რომლის ფარგლებშიც წარმოვადგენთ გრ. კიკნაძისა და სხვათა მოსაზრებებს, ხოლო შემდეგ შევეხებით ამ ორი ტერმინის მიმართებას უშუალოდ მჭევრმეტყველებასთან, რომელზე საუბრისასაც, მოვიყვანთ ნ. კანდელაკის შეხედულებებს. აღნიშნული კვლევა საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ მჭევრმეტყველების მთავარი თავისებურებები, რომელიც უმთავრესად უკავშირდება ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, კერძოდ, ის თავის თავში აერთიანებს წერიტი და ზეპირი მეტყველების ტრადიციებს. ამდენად, წინამდებარე კვლევის მიზანია, გაანალიზოს ზეპირი და წერიტი მეტყველების ურთიერთმიმართება, მათი ლინგვისტური და კომუნიკაციური თავისებურებები, ასევე განსაზღვროს მათი ფუნქცია მჭევრმეტყველებაში.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა. წინამდებარე კვლევა ეფუძნება ქართული და უცხოური რიტორიკული, ლინგვისტური და სტილისტიკური ლიტერატურის ფართო სპექტრს, რომელიც შეეხება ზეპირი და წერიტი მეტყველების თავისებურებებს, მათ ურთიერთმიმართებასა და ფუნქციონირებას საჯარო კომუნიკაციის კონტექსტში.

ქართული სამეცნიერო ტრადიციიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გრ. კიკნაძის ნაშრომებს, რომლებშიც დეტალურადაა გაანალიზებული ზეპირი და წერიტი მეტყველების სტილისტიკური განსხვავებები და მათი კვლევის მნიშვნელობა მეტყველების სტილის შესწავლისათვის. კიკნაძის მიერ შემოთავაზებული თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა, ზეპირი მეტყველება განვიხილოთ, როგორც უშუალო, სიტუაციურად განპირობებული და პარალინგვისტური საშუალებებით გაჯერებული ფორმა, ხოლო წერიტი მეტყველება – როგორც უფრო კონტროლირებადი, გააზრებული და სტრუქტურულად სტაბილური მეტყველებითი სისტემა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნ. კანდელაკის ნაშრომები, რომლებშიც მჭევრმეტყველება წარმოდგენილია, როგორც ზეპირი ხელოვნების სპეციფიკური ფორმა, რომელიც, ამავე დროს, მჭიდროდ არის დაკავშირებული წერიტი ტრადიციასთან. კანდელაკის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, საჯარო სიტყვა, როგორც წესი, წინასწარ წერილობით მზადდება და შემდგომ ზეპირი პერფორმანსის სახით რეალიზდება, წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ ძირითად თეორიულ საყრდენს. აღნიშნული მიდგომა მჭევრმეტყველებას წარმოაჩენს, ერთდროულად, როგორც ტექსტურ და პერფორმაციულ აქტს.

ლიტერატურის მიმოხილვაში ასევე გათვალისწინებულია აღ. გვენცაძის, ლ. კვაჭაძის, გ. კვარაცხელიასა და სხვა ავტორთა ნაშრომები, რომლებიც ეხება ფუნქციური სტილისტიკის საკითხებს, წერიტი და ზეპირი კომუნიკაციის თანაარსებობასა და საზოგადოებრივ დისკურსში მათი გამოყენების სპეციფიკას.

უცხოური რიტორიკული თეორიის კონტექსტში, კვლევა ეყრდნობა ჯ. ჯასინსკის და რ. ტოის მოსაზრებებს, სადაც რიტორიკა განიხილება, როგორც ტექსტისა და მეტყველების, პროდუქტისა და

პროცესის, ფორმისა და ფუნქციის ერთიანობა. ეს ხედვა ავსებს ქართულ სამეცნიერო ტრადიციას და საშუალებას იძლევა, მჭევრმეტყველება შეფასდეს ფართო, ინტერდისციპლინურ ჭრილში.

მეთოდოლოგია. კვლევა განხორციელდა დესკრიფციულ-ანალიტიკური მეთოდის საფუძველზე, რომლის ფარგლებში წერითი და ზეპირი მეტყველება განიხილება, როგორც ერთმანეთისგან განსხვავებულ, თუმცა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ კომუნიკაციურ სისტემებად. კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს ფუნქციური სტილისტიკისა და რიტორიკის თეორიულ მიდგომებს, რაც შესაძლებელს ხდის მეტყველების ამ ორ ფორმას შორის არსებული კავშირების კომპლექსურ ანალიზს.

პირველ ეტაპზე, ხორციელდება თეორიული ანალიზი, რომელიც მოიცავს ზეპირი და წერითი მეტყველების ცნებების, მათი ლინგვისტური და კომუნიკაციური მახასიათებლების განხილვას. ამ ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ თეორიულ დებულებებს, რომლებიც მჭევრმეტყველებას განიხილავს, როგორც ჰიბრიდულ ფენომენს წერითსა და ზეპირ მეტყველებას შორის.

მეორე ეტაპზე, გამოიყენება ტექსტური და სტილისტიკური ანალიზი, რომლის ფარგლებში, განიხილება ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები სხვადასხვა დარგიდან და ჟანრიდან. ანალიზისას, ყურადღება ექცევა ტექსტის წინასწარ წერილობით მომზადებას, ზეპირი პერფორმანსის თავისებურებებს, ასევე იმ შემთხვევებს, როდესაც ორატორული ტექსტი წერილობითი ფორმით არსებობდა, თუმცა ზეპირად არ გაჟღერებულა.

კვლევაში ასევე გამოიყენება შედარებითი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც, ზეპირი და წერითი მეტყველების ფუნქციები ურთიერთდაპირისპირებითა და ურთიერთშეხების პრინციპით განიხილება. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს მჭევრმეტყველების გარდამავალი და ინტეგრაციული ბუნება.

მეთოდოლოგიური ჩარჩო უზრუნველყოფს მჭევრმეტყველების განხილვას არა მხოლოდ როგორც მეტყველების ფორმას, არამედ როგორც კომპლექსურ კომუნიკაციურ აქტს, სადაც ტექსტუალობა და პერფორმაციულობა ერთობლივად განსაზღვრავს რიტორიკული დისკურსის ეფექტიანობას.

წერითი და ზეპირი მეტყველება ზოგადად. შესავლის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მეტყველება შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: 1) მეტყველების ნიშანდობლივი ქცევა, რომელშიც შედის: საკუთრივ სიტყვა (მეტყველების შინაარსი); სიტყვის გახმოვანება (მეტყველების ფორმა); ჟესტიკულაცია და მიმიკა და სივრცეში განხორციელებული ქცევა (თანამოსაუბრეთა ერთმანეთისადმი განთავსება-განლაგების მდებარეობა); 2) მეტყველების ნიშანდობლივი სიტუაცია, რომელსაც განსაზღვრავს: სოციალური ფაქტორი, რაც ითვალისწინებს მეტყველების ვითარებას (მდგომარეობას), მონაწილეთა ურთიერთობას ორატორსა და სამეტყველო გარემოს (აუდიტორიას) შორის, მოქმედების ადგილს (ფიზიკური ფაქტორი და სხვ.). ყოველი მეტყველების თითოეული მონაწილე თავისებურად თამაშობს საკუთარ მეტყველებით როლს, რასაც უცილობელი ადგილი უჭირავს ურთიერთობების ცოცხალ დინამიკურ პროცესში. აღნიშნული როლი ექვემდებარება ურთიერთობის მონაწილეთა სტატუსს, მათ პირად დამოკიდებულებებს, სიტუაციურ გუნება-განწყობილებებს და მოვლენათა განვითარების ხასიათს, არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე (ფორჩხიძე, 2018, გვ. 17). ამდენად, ნებისმიერი კომუნიკაციისას, იქნება ეს საჯარო გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე, თუ უბრალო საუბარი ორ ადამიანს შორის, მოითხოვს თანამოსაუბრის, ან მსმენელთა გარკვეული რაოდენობის ინტერესებისა და სიტუაციის გათვალისწინებას.

თავის მხრივ, აღნიშნავენ იმასაც, რომ „ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელია ცოცხალი კონტექსტი და ამის გამო გამომხატველობითი საშუალებების გამოყენება. ისინი გავლენას ახდენენ მეტყველებაზე, ხშირ შემთხვევაში კი ენობრივ კონსტრუქციებსაც ჩაენაცვლებიან, ამიტომ ზეპირ მეტყველებას შეიძლება ჰქონდეს უფრო ფრაგმენტული, უსრული სახე. წერითი მეტყველება

მოითხოვს მეტ სიზუსტეს, დასრულებას. იგი უფრო მოფიქრებული და გააზრებული უნდა იყოს. ნაკლებია სიტუაციური კონტექსტის გავლენა. აქ უფრო მეტია ცნობიერების კონტროლი“ (მშვიდლობაძე, 1990, გვ. 30). ამდენად, ცალსახაა წერით და ზეპირ მეტყველებას შორის არსებული სხვაობა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი მიმართება მჭევრმეტყველებასთან.

გრ. კიკნაძე მიუთითებს, რომ სტილის შესწავლისას სხვადასხვაგვარი ღირებულება აქვს წერით და ზეპირ მეტყველებას და გამოყოფს მათ განმასხვავებელ ნიშნებს (იხ. ვრცლად, კიკნაძე, 1957, გვ. 32-35), თუმცა, როგორც ალ. გვენცაძე აღნიშნავს, ზეპირ და წერით მეტყველებას შორის განსხვავებები არ იძლევა იმის უფლებას, რომ წარმოვიდგინოთ ისინი დაპირისპირებული სტილების სახით. სტილისტიკისათვის ერთნაირ ინტერესს იწვევს ზეპირ და წერით მეტყველებაში გამოყენებული სტილისტიკური კატეგორიები (გვენცაძე, 1974, გვ. 31). ის, თუ რამდენად თანაბარმნიშვნელოვანია ზეპირი და წერითი მეტყველება, მიუთითებს ლ. კვაჭაძე: „წერითი მეტყველება დღეს ფართოდ არის გამოყენებული ზეპირ მეტყველებასთან ერთად ადამიანთა ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებად“ (კვაჭაძე, 1981, გვ. 89). ვნახოთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება ზეპირი და წერითი მეტყველება გრ. კიკნაძის მიხედვით:

1. სტილის შესწავლისას, ზეპირ მეტყველებას აქვს რიგი უპირატესობა, რომელთაგან, უპირველესია მისი უშუალოება. წინასწარ მოუშადადებლობის შემთხვევაში, ზეპირი მეტყველებისას წარმოითქმის ის სიტყვები, რომლებიც სპონტანურად, მოცემულ მომენტში და დაუყოვნებლივ იჩენს თავს. ამდენად, ზეპირი მეტყველება უფრო მეტი უშუალოებით ხასიათდება, ვიდრე წერითი მეტყველება, რომელიც დამატებითი კონტროლისა და სხვადასხვა კორექტურის შეტანის ერთგვარი პროდუქტია (კიკნაძე, 1957, გვ. 32-33);

2. სტილის შესასწავლად ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვება უფრო პროდუქტიულია ლინგვისტური თვალსაზრისით: ამ დროს, ადამიანის მეტყველებაში შედარებით ნაკლებ როლს თამაშობს სიტყვების საგანგებოდ შერჩევის ტენდენცია. მაგრამ მის ამ უპირატესობას ფარავს და აჭარბებს ის უპირატესობანი, რომლებიც წერით მეტყველებას გააჩნია და რომლებიც სტილის კანონზომიერების გამოსავლენად შესაბამის ინფორმაციას გვაწვდის (კიკნაძე, 1957, გვ. 32);

3. ზეპირ მეტყველებას განსაზღვრავს ისეთი პირობები, რომლებიც ამ მეტყველისათვის მხოლოდ მოცემულ მომენტში შეიძლება იყოს გადამწყვეტი. მაგალითად, შეიძლება ადამიანის მეტყველება სხვაგვარი იყოს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი მსმენელი ამჟამად, თუ რა აწუხებს მას, რამდენად არის იგი მეტყველების გუნებაზე და ა.შ. ერთი სიტყვით, ზეპირი მეტყველების ყოველი ცალკეული ფაქტი ძალიან თავისებური შეიძლება იყოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ამიტომ, უშუალოდ ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვებით უფრო ძნელია სტილის ზოგადი რაობის გაგება. ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით, წერითი მეტყველება გაცილებით უფრო თავისუფალია ამგვარი მომენტებისაგან, რადგან ის უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული და შეპირობებული მეტყველისათვის შემთხვევით გარემოებათაგან (კიკნაძე, 1957, გვ. 33);

4. ზეპირ მეტყველებაში შემავსებელი მომენტის როლს ასრულებს სხვადასხვა პარალინგვისტური, ე.ი., არასიტყვიერი დამხმარე საშუალება: ქესტიკულაცია, მიმიკა, მეტყველების ტონი და სხვ. მეტყველების სტილის შესწავლისას, მეტად საყურადღებოა სწორედ ეს არასიტყვიერი დამხმარე საშუალებანი, რადგან ისინი განსხვავებულია ყოველი კონკრეტული ენობრივი თუ სიტუაციური კონტექსტისთვის. ამ თანმხლები არასიტყვიერი საშუალებებისაგან მეტად თავისუფალია წერითი მეტყველება და ამიტომ მისი შესწავლაც უფრო საიმედო საშუალებაა სტილის ბუნების გასარკვევად (კიკნაძე, 1957, გვ. 33-34);

5. წერით მეტყველებაში საგულისხმოა წერის პროცესში შეტანილი ცვლილებები, რასაც შეუძლია გარკვეული ინფორმაცია მოწოდება ადამიანის მეტყველების სტილურ ტენდენციებზე, სტი-

ლის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაზე, აგრეთვე, იმ ფაქტორებზე მითითება, რომლებიც თავს იჩენს წერისას (კიკნაძე, 1957, გვ. 34);

6. წერილობითი მასალის გამოყენებისას, ჩვენ უკეთ შეგვიძლია მივაღწევოთ თვალყური სტილის განვითარებას, მის თავისებურებას და მის რაობას, იმგვარი ნიმუშების მიხედვით, რომელთა შემქმნელნი არიან საზოგადოების ყველაზე უფრო წამყვანი და მოწინავე ადამიანები, მეტყველების დიდი ოსტატები. მათ შემოქმედებაზე დაკვირვებით, შესაძლებელია როგორც კონკრეტული ადამიანის მეტყველების სტილის, ისე, ზოგადად, სტილის ჩამოყალიბების კანონზომიერებების დადგენა (კიკნაძე, 1957, გვ. 34-35).

გრ. კიკნაძის მიხედვით, ზეპირი და წერითი მეტყველება სტილის კვლევის თვალსაზრისით განსხვავებული შესაძლებლობებით ხასიათდება. ზეპირი მეტყველების მთავარი უპირატესობა მისი უშუალოება და სპონტანურობაა, თუმცა იგი ძლიერ არის დამოკიდებული სუბიექტურ და სიტუაციურ ფაქტორებზე, აგრეთვე პარალინგვისტურ საშუალებებზე, რაც ართულებს სტილის ზოგადი კანონზომიერებების გამოვლენას. ამის საპირისპიროდ, წერითი მეტყველება ნაკლებად არის შემთხვევითი გარემოებებით განპირობებული, ექვემდებარება კონტროლსა და რედაქტირებას და იძლევა შესაძლებლობას დავაკვირდეთ სტილის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამიტომ, მიუხედავად ზეპირი მეტყველების გარკვეული უპირატესობებისა, სტილის ბუნების სიღრმისეულად შესასწავლად წერითი მეტყველება უფრო საიმედო და პროდუქტიულ მასალად მიიჩნევა.

წერითი და ზეპირი მეტყველების მიმართება მჭევრმეტყველებასთან. ქართული მჭევრმეტყველების მკვლევარი, ნ. კანდელაკი ასევე ამახვილებს ყურადღებას ზეპირ და წერით მეტყველებას შორის განსხვავებაზე (იხ. ვრცლად, კანდელაკი (შემდგ.), 1958, გვ. 9). იგი სხვაგან აღნიშნავს იმასაც, რომ მჭევრმეტყველება მხოლოდ ზეპირი მეტყველების ფორმა არაა: „მჭევრმეტყველება ზეპირი ფორმის ხელოვნებაა თავისი სპეციფიკური ბუნებით, მაგრამ საერთოდ ის სიტყვიერი შემოქმედებაა, რომლის სტილისტიკური სრულყოფისათვის აუცილებელია მისი წერილობითი ფიქსაცია. ყოველი საჯარო ზეპირი სიტყვა არსებითად წერილობით მზადდება. მისი შემდგომი ჩაწერაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ გზით მჭევრმეტყველება დებულობს ფიქსირებულ სახეს, ემსგავსება ლიტერატურულ პროდუქციას და შედის სიტყვაკაზმული მწერლობის საგანძურში. ეს გარემოება განსაზღვრავს ორატორული ხელოვნების ადგილს სიტყვიერი შემოქმედების არეში“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958, გვ. 10).

ზეპირი მეტყველების გარდა, ნ. კანდელაკი მიუთითებს მჭევრმეტყველებისთვის დამახასიათებელ წერილობით ტრადიციასზეც: „სხვაა აგრეთვე ნაწერის კითხვა, როცა ადამიანს ერთი სათქმელის კითხვისას არ სჭირდება ფიქრი მომდევნო სათქმელზე, რადგან ტექსტი წერილობით ფიქსირებული აზრების ხმოვანი აღდგენა აქ ხდება კითხვის განმტკიცებული ჩვევის მეშვეობით“ (კანდელაკი, 1989, გვ. 25). ზეპირ და წერით მეტყველებას შორის არსებულ განსხვავებაზე მიუთითებს ნ. კანდელაკი უშუალოდ მჭევრმეტყველების შემთხვევაში და წერს: „საჯარო ზეპირი მეტყველება, რომელიც თავისი სპეციფიკური ბუნებით დროში იმდენად განსაზღვრულია, რომ მისი თვით უმცირესი უადგილო დაყოვნება დიდ უხერხულობას იწვევს. სულ სხვაა წერითი მეტყველების პროცესი, როცა ადამიანს შეუძლია შეაჩეროს კალამი, დაფიქრდეს აზრის გამომხატველ ფორმაზე და შემდეგ მისცეს მას წერილობითი სახე. ამის შემდეგაც შეუძლია მას წაშალოს დაწერილი და კვლავ ახალი ფორმის აღბეჭდვა მოახდინოს. წერითი მეტყველება დროში ზუსტად განსაზღვრული არ არის“ (კანდელაკი, 1989, გვ. 25).

ზეპირ და წერით მეტყველებას შორის არსებულ განსხვავებაზე მსჯელობისას, ნ. კანდელაკი აღნიშნავს შემდეგს: „საჯარო ზეპირი მეტყველება, რომელიც თავისი სპეციფიკური ბუნებით დროში იმდენად განსაზღვრულია, რომ მისი თვით უმცირესი უადგილო დაყოვნება დიდ უხერხულობას იწვევს. სულ სხვაა წერითი მეტყველების პროცესი, როცა ადამიანს შეუძლია შეაჩეროს კალამი,

დაფიქრდეს აზრის გამომხატველ ფორმაზე და შემდეგ მისცეს მას წერილობითი სახე. ამის შემდეგაც შეუძლია მას წაშალოს დაწერილი და კვლავ ახალი ფორმის აღბეჭდვა მოახდინოს. წერილი მეტყველება დროში ზუსტად განსაზღვრული არ არის“ (კანდელაკი, 1989, გვ. 25).

ბ. კანდელაკი ასევე მსჯელობს მჭევრმეტყველებასა და ლიტერატურას შორის მსგავსება-განსხვავებაზე და წერს, რომ ორატორის შემოქმედება და მწერლის შემოქმედება – ორივე სიტყვიერი ხელოვნების დარგებია: მათი მსგავსების უმთავრესი ნიშანი სიტყვაკაზმული ფორმაა, განსხვავების ძირითადი მაჩვენებელი ამ ფორმის სხვადასხვაგვარი გამოხატვაა. მისი გამოხატვა ზეპირია მჭევრმეტყველებაში, ხოლო წერილია – ლიტერატურაში. ორატორისათვის დამახასიათებელია ზეპირი, ხოლო მწერლისათვის – წერილი შემოქმედების პროცესი. მჭევრმეტყველება ზეპირი მეტყველების, ხოლო ლიტერატურა წერილი მეტყველების უმაღლესი საფეხურია. პირველის შემოქმედებითი მასალის ფორმა ზეპირია, მეორისა – წერილი. მათი სახით, საქმე გვაქვს მეტყველების ზეპირ და წერილ ფორმებთან და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება (კანდელაკი (შემდგ.), 1958, გვ. 8).

ტრადიციულად, მჭევრმეტყველება მიემართება მსმენელს, ხოლო ლიტერატურა – მკითხველს: „[...] მჭევრმეტყველების გარეშე ამთვისებული მსმენელია, ხოლო ლიტერატურისა – მკითხველი. ორატორი და მსმენელი ერთმანეთს ხვდებიან შემოქმედებითი პროცესის დროს, მწერალი და მკითხველი – შემოქმედებითი პროცესის შემდეგ“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958, გვ. 9). თუმცა ეს რომ მკაცრად დაკანონებული წესი არაა, ამაზე თვითონ ნ. კანდელაკი მიუთითებს და წერს, რომ მჭევრმეტყველების ესა თუ ის ნიმუში, შესაძლოა, მკითხველს მიემართებოდეს, ხოლო ლიტერატურული ნაწარმოები – მსმენელს: „ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება ზეპირად წარმოითქვას დაწერის შემდეგ და მსმენელმა მოისმინოს, ხოლო ორატორული ქმნილება შეიძლება წერილობით აღიბეჭდოს წარმოთქმისას, მანამდე ან შემდეგ და მკითხველმა წაიკითხოს“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958, გვ. 9-10).

ბ. კანდელაკის აზრით, მჭევრმეტყველება უნდა დაიყოს ორ კომპონენტად – როგორც წერილი და ტექსტური პროდუქტი და ზეპირი და პერფორმაციული აქტი. ეს ორივე დონე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: ტექსტი ამზადებს პერფორმანსს, ხოლო პერფორმანსი ახლებურ სიცოცხლეს ანიჭებს ტექსტს.

მართლაც, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, „რიტორიკა“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნაწერის, ისე მეტყველების (ორატორული ხელოვნების) გამოსახატავად. საბოლოო ჯამში, მეტყველება ხშირად ეფუძნება წერილობით ტექსტებს და იშვიათად, შეიძლება წაკითხულ იქნეს ბეჭდური სახითაც. რიტორიკა არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც გამონაკლისი ტექსტისა და ენის თვალსაზრისით, ტექნიკური საშუალებებისგან დამოუკიდებლად, რომელთა მეშვეობითაც იგი გადაეცემა მსმენელებსა და მკითხველებს“ (Toye, 2013, p. 4). სხვაგვარი ფორმულირება გვხვდება ჯ. ჯასინსკის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში, რომელშიც უფრო მკვეთრად შეინიშნება მჭევრმეტყველების წერილი და ზეპირი მხარეების დაპირისპირება: „რიტორიკა, როგორც ფორმა vs რიტორიკა, როგორც ფუნქცია, პროდუქტი vs პროცესი“ (Jasinski, 2001, p. xxiii).

სქემა 1. ზეპირი და წერიტი მეტყველება (კანდელაკი, 1989, გვ. 25)



რიტორიკის ზეპირი და წერიტი მეტყველების ტრადიციის არსებობა დასტურდება ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზეც. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიხმოთ სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგის ნიმუშები, იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ IV თავი: „ქებაა წმიდისა მოწამისა ჰაბომისი“, ასევე იოანე ბოლნელის „ქადაგებანი“, რომლებიც მრავალჯერადი წაკითხვის საშუალებას იძლეოდა და ამასთანავე ტექსტები ფიქსირებული იყო წერილობითი ფორმით, ხოლო ზეპირი გაქდერების შემთხვევაში, უცვლელი სახით წარმოთქმის ტრადიციას ექვემდებარებოდა. იგივე შეიძლება ითქვას აკადემიური მჭევრმეტყველების შესახებ, კერძოდ, „მეცნიერული ლექცია, მოხსენება თუ საინფორმაციო ცნობა წინასწარ მზადდება, იწერება და უმეტესად დაწერილი ტექსტის მიხედვით იკითხება. ამგვარად, ეს ფორმებიც წიგნურია და მკვეთრად უპირისპირდება არაწიგნურ მეტყველებას“ (კვარაცხელია, 1987, გვ. 3).

გარდა იმისა, რომ საჯარო გამოსვლა, უმეტესწილად, არის წერილობით წინასწარ მომზადებული, ასევე წერილობითი ფორმით, სტენოგრაფიულად შეიძლება იყოს ის დაფიქსირებული უშუალოდ პრეზენტაციის მომენტში. ძველად, თუ საჯარო გამოსვლის ჩაწერის ერთადერთი საშუალება საჯარო გამოსვლის წერილობით ფიქსირება იყო, თანამედროვე ეპოქაში ჩაწერის საშუალებების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა: „ზეპირი გამოსვლა ხშირად ქვეყნდება გაზეთში, ჟურნალში ან ცალკე გამოცემად“ (კობერიძე, 2016, გვ. 19-20). მოგვიანებით, რადიოსა და შემდგომ კი, ტელევიზიის გამოგონებამ კიდევ უფრო გაზარდა ვერბალური კომუნიკაციის მასშტაბები და გამოყენების

არეალმა ფართო მასები მოიცვა. საჯარო გამოსვლების ჩასაწერად ასევე გამოიყენება აუდიო-ვიდეო ფორმატიც. ამდენად, საჯარო გამოსვლა კომპლექსური მოვლენაა, რადგან ის თავის თავში, მეტწილად, გულისხმობს სათქმელის ჯერ წერილობით წინასწარ მომზადებას, შემდეგ ზეპირი პრეზენტაციის სახით აუდიტორიის წინაშე წარდგენას და ბოლოს, მის ჩაწერას სტენოგრაფიულად, ან ვიდეო-აუდიო ვერსიის სახით.

სქემა 2. საჯარო გამოსვლის ეტაპები



ქართული ორატორული ნიმუშების სათაურებს თუ გადავხედავთ, ყველგან ცალსახად არის მითითება ორატორის თხრობის ფორმაზე – იბადება კითხვა, არის თუ არა საჯარო გამოსვლა მხოლოდ ზეპირი ანდა წერიტი მეტყველების შედეგი? ქართული ორატორული ნიმუშების სათაურებში, ხშირად, რიგით მეორე ადგილზე, თითქმის უგამონაკლისოდ, ვხვდებით სიტყვებს: „თქმული“ / „წარმოთქმული“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ენობრივ ფორმათა გამოყენების ასეთი მაღალი სიხშირე სათაურებში ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ საჯარო გამოსვლა ზეპირი მეტყველების კუთვნილება უფროა, ვიდრე წერიტი მეტყველების (კენჭიაშვილი, 2024: 34).

ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს არც იმას, რომ საჯარო გამოსვლა წინასწარ, წერილობითი ფორმითაც იყოს მომზადებული. ქართულ მჭევრმეტყველებაში ძნელია იმგვარი ნიმუშების მოძიება, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც არ არის წინასწარ მომზადებული წერილობითი ფორმით. უფრო მეტიც, თვით ორატორულ ტრადიციაშივე მოიპოვება იმგვარი საჯარო გამოსვლის ნიმუშების სათაურები, რომელიც საპირისპიროს გვიჩვენებს. კერძოდ, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება აკადემიური რიტორიკის დარგიდან ლექციისა და მოხსენების ჟანრის, ხოლო პოლიტიკური რიტორიკის დარგიდან – მოხსენების ჟანრის ორატორული ნიმუშების სათაურები, სადაც შესიტყვებაში გვაქვს შემდეგი კომბინაციები: „ლექცია, წაკითხული...“ და „მოხსენება, წაკითხული...“, რაც მიუთითებს წერილობითი ფორმის უპირატესობაზე ზეპირ ფორმასთან შედარებით.

ასევე, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში გვხვდება რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევა, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოდ წარმოაჩენს წერილობითი და ზეპირი ფორმების ურთიერთმიმართებას. არსებობს მაგალითები, როდესაც ორატორული ტექსტი თავიდანვე იქმნებოდა წერილობითი ფორმით და კონკრეტულად განკუთვნილი იყო საჯაროდ წარმოსათქმელად, თუმცა სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური ან პირადი მიზეზის გამო, ორატორი ვერ ახერხებდა დაგეგმილ გამოსვლას.

ამგვარ ვითარებაში, ტექსტი ინახებოდა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტის სახით, რომელიც აუდიტორიის წინაშე არასოდეს გაჟღერებულა. მიუხედავად ამისა, ასეთი ორატორული ნიმუშები ხშირად მაინც ხვდებოდა პრესაში: ისინი ქვეყნდებოდა გაზეთებსა თუ ჟურნალებში, რაც მათ ანიჭებდა საჯაროობის სხვა, წერილობით განზომილებას. ეს პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, რომ ორატორული დისკურსის ისტორიული განვითარება საქართველოში არ შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირი პრაქტიკით; პირიქით, წერილობითი ფორმა სიტყვას უნარჩუნებდა სახეს და ანიჭებდა შემდგომი შენახვისა და გავრცელების ფუნქციას, მაშინაც კი, როცა ტექსტი, რეალურად, ზეპირი ფორმით არ წარმოითქმებოდა.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიიდან ამგვარი ნიმუშის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კატო მიქელაძის სიტყვა, რომელიც მას მომზადებული ჰქონდა 1917 წელს, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე წარმოსათქმელად, თუმცა ყრილობის თავმჯდომარემ, აკაკი ჩხენკელმა მას არ მისცა საჯაროდ გამოსვლის საშუალება. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, სიტყვის წერილობითი ვერსია კატო მიქელაძემ მაინც გამოაქვეყნა მის მიერ დაფუძნებულ პერიოდულ გამოცემაში – „ხმა ქართველი ქალისა“ ორიგინალური სათაურით: „ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. აკ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე 20 ნოემბერს ქ. თბილისში“ (ხმა ქართველი ქალისა, 1917, გვ. 3-4).

სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია – [სიტყვა, წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს]. როგორც სიტყვის შინაარსიდან ირკვევა, იაკობ გოგებაშვილს განზრახული ჰქონია, სიტყვით გამოსულიყო იუბილეზე, თუმცა ავადმყოფობის გამო ეს ვერ შეძლო და წინასწარ მომზადებული საჯარო გამოსვლის სიტყვა გაზეთში გამოაქვეყნა. სიტყვის შინაარსის გაცნობის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს არ არის წარმოთქმული სიტყვა, ან ადვილი შესაძლებელია, სიტყვა წარმოითქვა იუბილეზე, ხოლო იმავე სიტყვის ბეჭდური ვერსია ავტორმა გვიან დაბეჭდა (გოგებაშვილი, 1955, გვ. 175-478). ეს აზრი ნაწილობრივ მართალია, რადგან ავტორის სიტყვა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ ზუსტად იუბილეს დღეს, 1-ელ მაისს გამოქვეყნდა (სახალხო გაზეთი, 1911, გვ. 2-3). შეიძლება ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილს წარმოსათქმელი სიტყვის წერილობითი ვერსია წინასწარ ჰქონია გაგზავნილი გაზეთის რედაქციაში დასაბეჭდად, ხოლო შემდეგ რეალურად წარმოსთქვა თუ არა, ამის დაზუსტება ჭირს.

კიდევ ერთი ნიმუშია – [სიტყვა, თქმული თბილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენლის ალექსანდრე ჭიჭინაძის მიერ აკაკი წერეთლის დაკრძალვის დღეს, 1915 წლის 8 თებერვალს]; სიტყვა დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“, ორიგინალი სათაურით – „სიტყვა: ტფილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენლის ბ-ნის აღ. ბეს. ჭიჭინაძისა“, ხოლო სქოლიოში დართული აქვს რედაქტორის შენიშვნა: „ეს სიტყვა უნდა წარმოეთქვათ თებერვლის 8-ს აკაკის დაკრძალვის დღეს, მაგრამ როგორც სხვა ბევრის, არც ამის წარმოთქმა მოხერხდა“ (განათლება, 1915ა, გვ. 120).

ჟურნალ „განათლების“ ამავე ნომერში დაიბეჭდა მეორე ორატორული ნიმუში – [სიტყვა, თქმული ლადო ბზვანელის მიერ აკაკი წერეთლის დაკრძალვის დღეს, 1915 წლის 8 თებერვალს], ორიგინალური სათაურით – „აკაკის დაკრძალვის დღეს“, ხოლო ბოლოში დართული აქვს რედაქტორის შენიშვნა: „ეს სიტყვა უნდა წარმოეთქვა ავტორს, როგორც ქუთაისიდან ჩამოსულ წარმომადგენელს, მაგრამ რადგანაც კომიტეტის მიერ სიტყვების რიცხვი განსაზღვრული იყო, ამის გამო, როგორც სხვა მრავალი, არც ეს თქმულა“ (განათლება, 1915, გვ. 124).

სხვა შემთხვევებიდან აღსანიშნავია – [სიტყვა, თქმული კალისტრატე ცინცაძის მიერ კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის გარდაცვალების გამო, 1921 წლის 17 ივლისს]. უნდა წარმოთქმულიყო სიონში 1921 წლის 17 ივლისს, მაგრამ ღვთისმსახურების მეტად გვიან გათავების გამო არ თქმულა (ცინცაძე, 2014, გვ. 170).


დაბოლოს, მაინც ისმის კითხვა: როგორია წერითი და ზეპირი მეტყველების მიმართება მჭევრმეტყველებასთან? საქმე ისაა, რომ საჯარო გამოსვლის ნიმუშები ტოვებს ზეპირი მეტყველების შთაბეჭდილებას. პრეზენტაცია მოითხოვს ზეპირი გზით წარდგენას, რის დროსაც ორატორი ავლენს იმპროვიზაციულ შესაძლებლობებს – ეს არის ის პირობაც, რომელიც შემოქმედებას ახდენს და მსმენელთა ყურადღების კონცენტრაციის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. მაგრამ ამგვარი ორატორული ნიმუშები ასევე გულისხმობს მათი ავტორების მხრიდან წინასწარ ჩარევას და სათქმელის წერილობით მომზადებას გარკვეულ დონეზე. ამდენად, არ არსებობს მკვეთრი დიქოტომია ზეპირ

და წერით მეტყველებას შორის; შეგვიძლია ვთქვათ, რომ მჭევრმეტყველება აერთიანებს წერითი და ზეპირი მეტყველების ტრადიციას. თუმცა, ამავე დროს, მათგან დამოუკიდებელი საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლებიც აქვს, რაც ვლინდება მის იმპროვიზაციულ შესაძლებლობებში (კენჭიაშვილი, 2021, გვ. 54, 201-202). მჭევრმეტყველება თავისი ბუნებით ზეპირი მეტყველების სფეროს ეკუთვნის, თუმცა იგი ვერ წარმოგვიდგება მხოლოდ სპონტანურ, იმპროვიზაციულ პროცესად. საჯარო გამოსვლის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ტექსტის წინასწარი, წერილობითი მომზადებით, რაც უზრუნველყოფს აზრის სტრუქტურირებას, მიზნობრიობასა და შინაარსობრივ სიზუსტეს. ამდენად, მჭევრმეტყველება წარმოადგენს ისეთ კომუნიკაციურ ფორმას, სადაც ზეპირი მეტყველების ცოცხალი ხასიათი და წერითი მეტყველების ორგანიზებულობა ერთად ფუნქციონირებს.

მართლაც, ორატორული ნიმუშები გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, რადგან, თავისი არსით, ისინი ზეპირ მეტყველებას გულისხმობს, თუმცა, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება მათი წინასწარ წერილობითი მომზადება, ხოლო საჯაროდ წარმოთქმის შემდეგ სხვადასხვა სახით ჩაწერა – სტენოგრაფიულად, ისე ვიდრე-აუდიო ფორმატში უშუალოდ პრეზენტაციის მომენტში (კენჭიაშვილი, 2021, გვ. 54, 202). ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ორატორული მეტყველება დროითა და ფორმით დინამიკური პროცესია, რომელიც სცდება მკაცრად განსაზღვრულ ზეპირ ან წერით ჩარჩოებს.

შემომოყვანილ გარემოებათა გათვალისწინებით, საჯარო მჭევრმეტყველება წარმოგვიდგება, როგორც გარკვეულ გარდამავალ და საშუალო რგოლად, რომელიც აერთიანებს წერითი და ზეპირი მეტყველების ტრადიციებს. ამდენად, მჭევრმეტყველება გულისხმობს როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებას. სწორედ მათი თანაკვეთა გვაძლევს ისეთ საჯარო გამოსვლებს, რომელიც თავის მიზანს აღწევს და სიტყვიერი ხელოვნების მაღალ დონეს გვიჩვენებს (კენჭიაშვილი, 2021, გვ. 54, 202). მჭევრმეტყველება წარმოადგენს წერითი და ზეპირი მეტყველების თანაკვეთის შედეგს. სწორედ ამ სინთეზის საფუძველზე მიიღწევა ისეთი საჯარო გამოსვლები, რომლებიც ახერხებს როგორც მსმენელზე შემოქმედებას, ისე მაღალი ესთეტიკური და კომუნიკაციური ღირებულების დემონსტრირებას. მჭევრმეტყველება, ამ გაგებით, არ არის არც მხოლოდ წერითი და არც მხოლოდ ზეპირი მეტყველება – იგი დამოუკიდებელი, სპეციფიკური სიტყვიერი ხელოვნებაა.

სქემა 3. ზეპირი და წერითი მეტყველება და მათი მიმართება მჭევრმეტყველებასთან



დასკვნა. მეტყველება, როგორც კომუნიკაციის ფორმა, ორი ძირითადი სახით ვლინდება: ზეპირი და წერიტი ფორმებით. ისინი ენის გამოყენების განსხვავებულ ფორმებს წარმოადგენს, რომლებიც დროითი, სივრცითი და სოციალური კონტექსტითაა განპირობებული. ზეპირი მეტყველება ხასიათდება უშუალოდობითა და დროითობით; ის იქმნება კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაში, რეალურ დროში, რაც მოითხოვს მონაწილეთა ერთდროულ ყოფნას. წერიტი მეტყველება, თავის მხრივ, დამოუკიდებელია დროისა და სივრცისაგან. ეს მახასიათებლები აჩვენებს, რომ ზეპირი მეტყველება დამოკიდებულია სიტუაციურ, ემოციურ და სოციალური კონტექსტზე, ხოლო წერიტი მეტყველება არის აბსტრაქტული და უნივერსალური. მჭევრმეტყველებაში წერიტი და ზეპირი მეტყველების ფუნქციები ხშირად ერთად თანაარსებობს: ტექსტი შეიცავს სტრუქტურას, ლოგიკას და არგუმენტაციას, ხოლო ზეპირი წარდგენა უკავშირდება ემოციას, აუდიტორიასთან კონტაქტსა და იმპროვიზაციას.

მჭევრმეტყველება თავის თავში აერთიანებს ზეპირი და წერიტი მეტყველების ელემენტებს. საჯარო გამოსვლის ტექსტს ხშირად წერენ, წინასწარ ამზადებენ, მაგრამ საბოლოო შედეგი მაინც ზეპირი ფორმით მიეწოდება აუდიტორიას. სწორედ ამიტომ, ორატორული ხელოვნება წარმოადგენს ჰიბრიდულ აქტივობას წერიტსა და ზეპირ მეტყველებას შორის. გარდა ამისა, ზეპირ და წერიტი მეტყველებას სხვადასხვა კომუნიკაციური ფუნქცია აქვს. მიუხედავად მათი განსხვავებული ბუნებისა, ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირს ავლენს, განსაკუთრებით მჭევრმეტყველებაში, სადაც ტექსტის წინასწარი მომზადება და ზეპირი წარმოდგენა ქმნის კომუნიკაციის ძლიერ საშუალებას. საბოლოოდ, წერიტი და ზეპირი მეტყველების განსხვავებების გააზრება მჭევრმეტყველებაში არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მნიშვნელობასაც ატარებს – ის უზრუნველყოფს უფრო ეფექტური ტექსტების შექმნასა და კომუნიკაციის სტრატეგიულ მართვას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

განათლება (1915ა). სიტყვა: ტფილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენლის ბ-ნის ალ. ბეს. ჭიჭინაძისა. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, თებერვალი, №2, 120-123, <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385830>

განათლება (1915ბ). აკაკის დაკრძალვის დღეს. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, თებერვალი, №2, 124, <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385830>

გვენცაძე, ალ. (1974). ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები: სახელმძღვ. პედ. ინ-ტების ქართ. ენისა და ლიტ-რის სპეც. სტუდენტებისათვის, თბილისი;

გოგებაშვილი, ი. (1955). *თხზულებათა ათტომეული* (ტ. 4, გვ. 175-478). თბილისი: ინსტიტუტის გამომცემლობა.

კანდელაკი, ნ. (შემდგ.). (1958). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი: ხელოვნება; [SEP]

კანდელაკი, ნ. (1989). როგორ მოვაშალოთ და წავიკითხოთ ლექცია, თბილისი: საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნა“;

კენჭიაშვილი, ნ. (2021). ტროპი ქართულ მჭევრმეტყველებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/360442>

კენჭიაშვილი, ნ. (2024). სათაურის სტრუქტურა ქართულ მჭევრმეტყველებაში ორიგინალური ორატორული ნიმუშების მაგალითზე, აკაკი შანიძის სახელობის სამეცნიერო კითხვანი – 2024, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 23-37, <https://digitallibrary.tsu.ge/book/2024/June/books/akaki-shanidze-kitxvani.pdf>

კვარაცხელია, გ. (1987). სამეცნიერო ფუნქციური სტილის სპეციფიკის ზოგადი დახასიათება. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 26, 3-18; [SEP]

- კვაჭაძე, ლ. (1981). ქართული ენა, ნაწილი I: ლექსიკა, ფონეტიკა, გრაფიკა და მორფოლოგია მართლწერის საკითხებითურთ, თბილისი: განათლება;
- კიკნაძე, გრ. (1957). მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- კობერიძე, მ. (2016). რიტორიკული სტილი // სამეცნიერო შრომების კრებული / COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS, №10, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი / GORI STATE TEACHING UNIVERSITY, 18-21;
- მშვიდლობაძე, რ. (1990). მეტყველების გაუცნობიერებელი ფორმალური პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციები, თბილისი: მეცნიერება;
- ფორჩხიძე, ბ. (2018). ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის სოციალურ-ფილოსოფიური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური საფუძვლები, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/278402>
- სახალხო გაზეთი. (1911). საიუბილეო სიტყვა, სახალხო გაზეთი, კვირა, 1 მაისი, №292, 2-3. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/524623>
- ცინცაძე, კ. (2014). ქადაგებები და სიტყვები, თბილისი: უნივერსალი, 2014.
- ხმა ქართველი ქალისა, (1917). მიქელაძე, კ., ჩემი სიტყვა რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. აკ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე 20^[1]_{სწწ}წნოემბერს ქ. თბილისში, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, №32, 3-4, <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/34546>
- Jasinski, J. (2001). Sourcebook on Rhetoric: Key Concepts in Contemporary Rhetorical Studies, Sage Publications;
- Toye, R. (2013). Rhetoric: A very short introduction, Oxford.